

საბანკო მომსახურების პირობების დანართი N21 – კონვერტაცია ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით

1. **კლიენტი** უფლებამოსილია შესაბამისი **განაცხადის** საფუძველზე ყოველ **საბანკო დღეს** განახორციელოს **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაცია**.
2. **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაცი(ებ)ის** გარიგების დადების მიზნით, **ბანკი** არეგისტრირებს **კლიენტს** ელექტრონულ სავაჭრო პლატფორმაში და **კლიენტს** გადასცემს პლატფორმით სარგებლობისათვის საჭირო მომხმარებლის სახელს და სასტარტო პაროლს. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეუჩეროს **კლიენტს** ელექტრონულ სავაჭრო პლატფორმაზე წვდომა. ელექტრონულ სავაჭრო პლატფორმაზე წვდომის შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მხარეებს** შეწყვეტამდე დადებული **კონვერტაციის** გარიგებით წარმოშობილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.
3. **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** გარიგება საბოლოოა და მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ **მხარეთა** შეთანხმებით.
4. **მხარეთა** შორის **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** გარიგებიდან გამომდინარე ანგარიშსწორება **კლიენტის** მიერ უნდა განხორციელდეს აღნიშნულ გარიგებაში მითითებულ ანგარიშსწორების დღეს, ხოლო **ბანკის** მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება **კლიენტის** მიერ კონკრეტული კონვერტაციის გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდეგ. აღნიშნული ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს **ბანკში კლიენტის ანგარიშებს** შორის, რომელიც განსაზღვრულია **კლიენტის** მიერ გაფორმებული შესაბამისი **განაცხადით**.
5. **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** დროს **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღვო ფორმით ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის **განაცხადით** განსაზღვრული **ანგარიშ(ებ)ის** მეშვეობით, რომელთა ცვლილება შესაძლებელია **ამავე განაცხადში** დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტიდან მიღებული შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე და **ბანკში** დადგენილი წეს(ებ)ის შესაბამისად.
6. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ვერ უზრუნველყოფს სრულად ანგარიშსწორებას **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** გარიგებით შეთანხმებულ დღეს, ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მომდევნო **საბანკო დღეს**, წინააღმდეგ შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** გარიგება.
7. **კლიენტის** მიერ **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** გარიგებიდან გამომდინარე ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **კლიენტს** პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შემდეგი ოდენობით: გადაუხდელი თანხის წლიური საჯარიმო პროცენტი: ა) ეროვნული ვალუტის თანხის დაგვიანების შემთხვევაში, დაგვიანებული თანხის ანგარიშსწორების დღის TIBR1-ის განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტი; ბ) უცხოური ვალუტის თანხის დაგვიანების შემთხვევაში, შესაბამის ვალუტაში ოვერნაითის LIBOR-ის განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტი.
8. **კლიენტის** მიერ **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** გარიგებიდან გამომდინარე ანგარიშსწორების ვადის დარღვევის გამო **ბანკის** მიერ **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** გარიგების გაუქმების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დამატებით მოსთხოვოს **კლიენტს** პირგასამტეხლოს გადახდა აღნიშნული გარიგების თანხის 5%-ის ოდენობით.
9. **ამ დანართით** განსაზღვრული პირობები რეგულირდება **კანონმდებლობის** და **მხარეთა** მიერ **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** ფარგლებში დადებული გარიგების შესაბამისად.
10. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დაუდგინოს **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** ფარგლებში დასადები გარიგებების რაოდენობა და თანხის ლიმიტი **კლიენტთან** შეთანხმებული პერიოდისათვის.
11. **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** განხორციელებისას ან არაუმეტეს მეორე **საბანკო დღისა** **განაცხადით** განსაზღვრულ **ანგარიშ(ებ)ზე** **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის** გარიგებისათვის საჭირო თანხის განთავსება.



12. **ბანკი უფლებამოსილია განაცხადში განსაზღვრული კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტოდ ჩამოჭრას თანხა ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის გარიგების შესასრულებლად, ბანკის წინაშე კლიენტის მიერ ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.**
13. **ბანკი არ არის პასუხისმგებელი:**
 - 13.1 **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის გარიგების განხორციელებისას ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზ(ებ)ით წარმოქმნილ ტექნიკურ ხარვეზზე და ამისგან მომდინარე ზიანსა და ზარალზე;**
 - 13.2 **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის გარიგების შეუსრულებლობაზე და ამისგან მომდინარე ზიანსა და ზარალზე, თუკი აღნიშნული გამოწვეულია ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის გარიგების შესრულების მომენტში კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე ვალდებულების უზრუნველყოფის შესაბამისი ღონისძიების წარდგენით.**
14. **კლიენტი ვალდებულია:**
 - 14.1 **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის მომსახურების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელებისას დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების ცვლილების, გაუქმების შესახებ;**
 - 14.2 **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის მომსახურების ფარგლებში ბანკის მიერ მისთვის გადაცემული სასტარტო პაროლის სავალდებულო ცვლილებაზე აღნიშნული პაროლის პირველი გამოყენების დროს. ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის გამოყენებით კონვერტაციის გარიგებ(ებ)ის და ანგარიშ(ებ)ზე განხორციელებულ მეორე და შემდგომ საბანკო ოპერაციებზე.**